აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 5 | 7 აპრილი 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკი კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/45 23.03.2023 წელი)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე ვლადიმერ მგალობლიშვილი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე ვლადიმერ მგალობლიშვილი
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

23.03.2023 წელი	წამყვანი კომიტეტი -01.05.2023 წელი სხვა კომიტეტები -25.04.2023 წელი	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, საკანონმდებლო პაკეტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -9- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

09-01-08/45
10 05 2023

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 29.06.2012, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010240020.30.056.016015) 59-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ანტიკორუფციულ ბიუროს (შემდგომ - ანტიკორუფციული ბიურო) წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც დაფინანსდება საარჩევნო კამპანია. აღნიშნული ფონდის შესახებ წარდგენილი ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს საარჩევნო კამპანიის ფონდის მართვისთვის პასუხისმგებელ პირთა საკონტაქტო მონაცემებს.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.05%-ს. აღნიშნულ ოდენობაში შედის საარჩევნო სუბიექტის მიერ და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები, რომლებიც დადგენილია ანტიკორუფციული ბიუროს მიერ და რომელთა შესახებაც ეცნობა შესაბამის საარჩევნო სუბიექტს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2023 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კანონის პროექტის მიღების მიზეზი:

როგორც ცნობილია, საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრების განაცხადთან დაკავშირებით 2022 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა ევროკომისიის დასკვნა, რომლითაც ევროკომისიამ გასცა ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივის საქართველოსთვის მინიჭების რეკომენდაცია; ამასთანავე, ევროკომისიამ იმავე დასკვნით განსაზღვრა 12 პუნქტისაგან შემდგარი გარკვეული პრიორიტეტული ამოცანები და მიუთითა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭიროა საქართველოს მიერ ამ ამოცანების შესრულება. აღნიშნული პრიორიტეტული ამოცანების შესრულების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ მყისიერად შეიმუშავა დროში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმა, საქართველოს პარლამენტში კი შეიქმნა მთელი რიგი სამუშაო ჯგუფები. ამ სამუშაო ჯგუფებიდან ერთ-ერთის მიზანს წარმოადგენდა საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით.

აღნიშნული მიმართულებით მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიმართული იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობისა და ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციურად გაძლიერებისკენ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2022 წლის ბოლოს.

ხსენებულ საკანონმდებლო პაკეტში შემავალი ერთ-ერთი კანონის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ თანახმად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სსიპ ანტიკორუფციული ბიურო, ხოლო ამავე პაკეტში შემავალი საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ თანახმად, საარჩევნო კამპანიის ხარჯებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებები 2023 წლის 1 სექტემბრიდან გადაეცემა სსიპ ანტიკორუფციულ ბიუროს. კერძოდ:

- საარჩევნო სუბიექტი ვალდებული იქნება ინფორმაცია იმ საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც ფინანსდება საარჩევნო კამპანია წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ანტიკორუფციულ ბიუროს, ნაცვლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა;
- საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობაში შემავალი საარჩევნო სუბიექტის მიერ და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობას დაადგენს და შესაბამის საარჩევნო სუბიექტს აცნობებს ანტიკორუფციული ბიურო, ნაცვლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა.

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონშიც.

ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი:

კანონპროექტის შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი შესაბამისობაში იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტში შემავალ კანონმდებლობასთან.

ა.გ) კანონის პროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 59-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტებში. კერძოდ,:

- მე-4 პუნქტში შესატანი ცვლილებით, საარჩევნო სუბიექტი ვალდებული იქნება ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც დაფინანსდება საარჩევნო კამპანია წარუდგინოს ანტიკორუფციულ ბიუროს;

- მე-7 პუნქტში განსახორციელებელი ცვლილებით კი, საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.05%-ს. აღნიშნულ ოდენობაში შედის საარჩევნო სუბიექტის მიერ და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები, რომლებიც დადგენილია ანტიკორუფციული ბიუროს მიერ და რომელთა შესახებაც ეცნობა შესაბამის საარჩევნო სუბიექტს.

კანონპროექტის მე-2 მუხლის თანახმად, ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონის პროექტი უშუალო გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) კანონის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 59. საარჩევნო კამპანიის ხარჯები

1. საარჩევნო კამპანია უნდა დაფინანსდეს პოლიტიკური პარტიის ფონდიდან.

2. საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატი სარგებლობს მისი წარმდგენი სუბიექტის ფონდით.

3. (ამოღებულია - 08.08.2020, №134).

4. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. ფონდის შესახებ წარდგენილი ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს საარჩევნო კამპანიის ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო მონაცემებს.

5. კამპანიის ხარჯებად ითვლება საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი და შესაბამის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრების ერთობლიობა, ასევე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება (ასახული საბაზრო ფასებით), გარდა კანონით დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულებისა.

6. დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დროს, შესაბამისი ფონდის სახსრების გარდა, სხვა სახსრების გამოყენება.

7. საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ს. აღნიშნულ ოდენობაში შედის საარჩევნო სუბიექტის და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები, რაც დადგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, რის შესახებაც ეცნობა შესაბამის საარჩევნო სუბიექტს.

8. (ამოღებულია - 08.08.2020, №134).

9. საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე და დაფინანსების წყაროებზე ვრცელდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები.

10. (ამოღებულია - 08.08.2020, №134).

11. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას ზღვრის გადაჭარბებით გაწეული ხარჯის ორმაგი ოდენობით.

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხს განსახილველად სვამს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.".

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2023 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

როგორც ცნობილია, საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრების განაცხადთან დაკავშირებით 2022 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა ევროკომისიის დასკვნა, რომლითაც ევროკომისიამ გასცა ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივის საქართველოსთვის მინიჭების რეკომენდაცია; ამასთანავე, ევროკომისიამ იმავე დასკვნით განსაზღვრა 12 პუნქტისაგან შემდგარი გარკვეული პრიორიტეტული ამოცანები და მიუთითა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭიროა საქართველოს მიერ ამ ამოცანების შესრულება. აღნიშნული პრიორიტეტული ამოცანების შესრულების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ მყისიერად შეიმუშავა დროში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმა, საქართველოს პარლამენტში კი შეიქმნა მთელი რიგი სამუშაო ჯგუფები. ამ სამუშაო ჯგუფებიდან ერთ-ერთის მიზანს წარმოადგენდა საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით.

აღნიშნული მიმართულებით მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიმართული იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობისა და ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციურად გაძლიერებისკენ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2022 წლის ბოლოს.

ხსენებულ საკანონმდებლო პაკეტში შემავალი ერთ-ერთი კანონის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ თანახმად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სსიპ ანტიკორუფციული ბიურო, ხოლო კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად 2023 წლის 1 სექტემბრიდან თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა ნაცვლად საჯარო სამსახურის ბიუროსი მოხდება ანტიკორუფციულ ბიუროში.

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე საჭიროებს შესაბამის ცვლილებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტშიც.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისობა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტში და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„5. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხს განსახილველად სვამს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.“.

რეგლამენტის პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი უშუალო გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 9. უმაღლესი საბჭოს წევრის ზოგადი უფლება-მოვალეობები

1. უმაღლესი საბჭოს წევრი არის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, კომიტეტში (კომიტეტის სამუშაო ჯგუფში), ფრაქციაში ან დროებით კომისიაში, რეგლამენტით განსაზღვრულ საბჭოში, რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა ჯგუფებში;

ბ) ამომრჩევლებთან შეხვედრებით, მათი მიღებით, მათ მიერ დასმულ საკითხებზე რეაგირებით;

გ) სახელმწიფო, ავტონომიურ, მუნიციპალურ და სხვა ორგანოებთან და დაწესებულებებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) რეგლამენტით დადგენილი წესით აირჩიოს ან არჩეულ ან წარდგენილ იქნეს უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტის, დროებითი კომისიის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს თანამდებობიდან ან გავიდეს ამ ორგანოებიდან/ გაერთიანებებიდან;

ბ) ისარგებლოს ყველა იმ ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

გ) კონტროლის განხორციელებისას:

გ.ა) კითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მიიღოს და შეაფასოს პასუხი;

გ.ბ) შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა; შეხვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ და სხვა თანამდებობის პირებს;

გ.გ) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

დ) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, რეგლამენტით დადგენილი წესით:

დ.ა) დასვას საკითხი განსახილველად; მის მიერ დასმულ საკითხზე ან შეკითხვაზე მომხსენებლის ან სხდომის თავმჯდომარის მიერ პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში გამოხატოს საკუთარი აზრი და დააზუსტოს შეკითხვა;

დ.ბ) წარადგინოს შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

დ.გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;

დ.დ) გააცნოს უმაღლეს საბჭოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე წერილები და მიმართვები;

დ.ე) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე. გამოსვლის ტექსტი, წერილობით ჩამოყალიბებული შენიშვნები და წინადადებები უნდა დაერთოს სხდომის ოქმს;

დ.ვ) გამოთქვას აზრი უმაღლესი საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ,

რომლებსაც ირჩევს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო;

ე) განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;

ვ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოს სხდომის (სესიის), ბიუროს, დროებითი კომისიის აუდიოჩანაწერს, ასევე კომიტეტის სხდომის აუდიოჩანაწერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობა;

ბ) დაესწროს უმაღლესი საბჭოს პლენარულ, კომიტეტის, ფრაქციის, დროებითი კომისიის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში;

გ) რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში;

დ) რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე;

დ[1]) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე;

ე) ხელი შეუწყოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის, მათ შორის, რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოსთხოვოს უმაღლეს საბჭოს, მის თავმჯდომარეს ან შესაბამის კომიტეტს;

ვ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;

ზ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს და არ გაამჟღავნოს სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მიღებული ან შექმნილი ინფორმაცია;

თ) დაიცვას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ქცევის სტანდარტები და უმაღლესი საბჭოს წევრისთვის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ეთიკის ნორმები.

4. უმაღლესი საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დაწესებულების თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს უმაღლესი საბჭოს წევრი მისი მოთხოვნით.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხს განსახილველად სვამს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.

6. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული ფრაქციაში, ითვლება უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრად.